პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 18 მაისი 1978 წ. № 117 (17161) ფასი 2 კაპ.

1978 წლის ანგარიშში

ამწყობ ზეინკალს, კომუნისტური შრომის დამკვრელს აბესალომ გვარაძეს კარგად იცნობენ თბილისის მ. ი. კალინინის სახელობის სამხსმელო მოწყობილობის ქარხანაში. ხაწშენდ დოლებს, რომლებსაც იგი აწყობს, ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვთ მინიჭებული და იგზავნება საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქსა და ხაზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

მოწინავე წარმოების მუშაკი მუდამ შრომის ავანგარდშია, მნიშვნელოვნად უსწრებს დროს და პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ამჟამად ხაწარმოს ერთ-ერთი ხაუკეთესო ზეინკალი 1978 წლის ანგარიშში მუშაობს.

ხურათზე: ა. გვარამაძე.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მინდვრები გვიზმობს!

ანგრძლივი წვიმების შემდეგ, როგორც იქნა, გამოიდარა, დათბა და მინდორმა მოიბავშვა მოუხმო. ახლა, როგორც იტყვიან, ბალახი ქვაზეც კია ამოსული. სწორედ ასეთ დროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 20 მაისს პირუტყვის საკვების დაგროვების პირველი შაბათობა ეწყობა.

დადგა პერიოდი, როცა რესპუბლიკის მშრომელებმა საქმით და მხოლოდ საქმით უნდა უპასუხონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებისადმი. მუშებისადმი. ინტელიგენციისადმი. ახალგაზრდობისადმი. ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისადმი. სწორედ ახლა გამოჩნდება, ვინ არის თავისი სიტყვის პატრონი და ვინ არა!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, — ნათქვამია წერილში, — მოუწოდებს რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების ყველა მშრომელს დაიწყონ ფართო შეტევა საკვების მოპოვების ფრონტზე. უმინდობის გამო დაკარგული დრო შეიძლება და კიდევაც უნდა ავანაზღაუროთ საკვების დამზადების ტემპის გაორკეცებისა და გასამეცადინო ზმით; ამ ხამუშაოთა დროს არ უნდა დავუშვათ, რომ თუნდაც ერთი კილოგრამი საკვები დაიკარგოს, უნდა გამოვიყენოთ საკვების მოპოვების ყველა არსებული რეზერვი, გავითვალისწინოთ მიმდინარე გამაზამთრების მწარე გამოცდილება, ყველა რაიონში, ყველა მეურნეობაში, თითოეულ ფერმაში უთუოდ შეკვმნათ სარეზერვო მარაგი.

როგორია რესპუბლიკის საკვებმომპოვებელთა ამოცანები მეოთე ხუთწლედის მესამე წელს?

საქართველოს სსრ მშრომელთა 1978 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში, რომელიც ერთხმად მიიღო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ, ჩაწერილია, რომ კიდევ უფრო განავითარებენ მეცხოველეობის საკვებ ბაზას, ჩადებენ 800 ათას ტონას სენაჟს, 50 ათას ტონა ჩალა-ნამჯას, დაამზადებენ 640 ათას ტონა თივას, 900 ათას ტონა სილოსს. აწარმოებენ 40 ათას ტონა ხელოვნურად გამოშრობილი ბალახის ფქვილს, შეინახავენ 160 ათას ტონა სუფურაჟე მარცვლეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თითოეული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის 16,2 ცენტნერი საკვები ერთეული დაგროვდეს.

ამ მეტად საპატიო ამოცანების შესრულებაში თავიანთი კომკავშირული სიტყვა უნდა თქვას საქართველოს ახალგაზრდობამ. მისი ვალდებულებაა წლიურ დაამზადოს 250 ათასი ტონა თივა, 450 ათასი ტონა სენაჟი, 400 ათასი ტონა სილოსი. ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოს ახალგაზრდობა სიტყვას ხაქმით დამტკიცებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში ბევრი წერილი მოდის. მათი ავტორები გვწერენ იმ შრომითს აღმავლობაზე, რომელიც ცენტრალური კომიტეტის წერილმა გამოიწვია. სოფლიხა და ქალაქის მშრომელები ერთხმად დებენ პირობას, რომ ხუთწლედის მესამე წელს პირუტყვს შეუქმნიან მტკიცე საკვებ ბაზას, გაითვალისწინებენ წინა წლების შეცდომებს და ყველაფერს იღონებენ, რათა კარგი, ნორმალური პირობები შექმნან პირუტყვის გამოხაზამთრებლად, ყველა რაიონში, მეურნეობასა და თითოეულ ფერმაში უთუოდ იყოს საკვების ხარეზერვო მარაგი.

გადდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს ხიღნალის, წითელწყაროს, გორის, საგარეჯოს, ხაშურის, მცხეთის, აბაშის რაიონების საკვებმომპოვებლებმა. მათი და სხვა რაიონების ვალდებულებები გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. გამორნდა პირველი ხასიბარული ცნობები, რომ ამ რაიონებში პირუტყვის საკვების დაგროვება წარმატებით დაიწყო. ახლა მთავარია აღებული ტემპი არ შევანელოთ, პირიქით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველდღიურად მატულობდეს საკვებას დამზადებაზე მომუშავეთა რიცხვი, მატულობდეს დაგროვილი საკვების რაოდენობა.

მთელ რესპუბლიკაში დღითიდღე სულ უფრო მეტი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება რაც შეიძლება მეტი რაოდენობის საკვების დამზადებისათვის. შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კოლექტივმა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პირუტყვის საკვების დამზადების პირველ შაბათობაში. შაბათობისათვის დაირაზმნენ რუხთაველი მეტალურგები და ქიმიკოსები, ქუთაისელი ავტომშენებლები, გორელი მშრომელები, გურჯაანისა და თელავის რაიონების ინტელიგენცია, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მათი პირობაა პირველ შაბათობაზე მინდვრად, ბზისა და ტყის პირას გათიბონ ასობით ტონა ბუნებრივი ბალახი.

ქალაქი — სოფელს! ყოველდღიურად ხულ უფრო მეტი მუშა და ინტელიგენტი ებმება ამ მოძრაობაში. გორელმა მუშა-მოხამსახურეებმა პირობა დადეს, რომ პირველი შაბათობის დროს ქალაქის ტერიტორიაზე და მის შემოგარენზე გორის რაიონის ხაზოგადოებრივ მეურნეობებს 20 ტონაზე მეტი ბალახი გაუთიბონ. უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს რუსთაველში მუშა-მოხამსახურეებმა. ახლი მარტო ერთ დღეს 120 ტონა ბალახს გათიბავენ ბაზონებში და ქალაქის ირგვლივ.

ქალაქის მშრომელთა შეფობა სოფლისადმი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. პირველ შაბათობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, როგორც იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვა. ეს კარგი და მისასალმებელია! აქედან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დროული და სასარგებლო იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის მშრომელებისადმი. ამ წერილმა ახალი პატრიოტული აღმავლობა გამოიწვია სოფლიხა და ქალაქის მშრომელებში. დარაზმა ისინი იმისათვის, რომ უმოკლეს დროში გამოასწორონ ავდრით გამოწვეული ნაკლოვანებები. პარტიის სასოფლო რაიკომების, რაისაბჭოს აღმასკომების, ხაზოგადოებრივ მეურნეობათა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების — ხელმძღვანელების საპატიო ამოცანა ახლა ის არის, რომ პირუტყვის საკვების დასამზადებლად შაბათობაზე ჩასულ ხალხს საწარმოთა კოლექტივებმ. ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი, რათა მათი ერთი დღის შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღოს. არ უნდა განმეორდეს წინა წლების ზოგიერთი შეცდომა, როცა ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩასული ქალაქის მშრომელები უქმად იყვნენ იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით არ ჰქონდათ ხათბები და თივის შესაგროვებელი ინვენტარი, დროზე ვერ მიუჩინეს ნაკვეთები და სხვ. სასოფლო რაიონების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, შაბათობის მოხაზილე მშრომელთა კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

შეფების საპატიო მოვალეობა კი ის არის, რომ შაბათობაზე შრომის მაქსიმალური ორგანიზებულობა და ყაირათიანობა, შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულება გამოავლინონ. კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ გათიბული ბალახი, ყოველი კილოგრამი მწვანე მასა თუ თივა ხვალინდელი ხორცი და რძეა! ამასთან უნდა მოვაგონოთ უბრალო, მაგრამ მრავლისმთქმელი ბეშმარიტება — უხვად იქნება პირუტყვის საკვები — ქალაქად იქნება მეტი ხორცი, რძე და მათი პროდუქტები.!

საწარმოთა კოლექტივების, ინტელიგენციის, სტუდენტთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის შაბათობა ნაყოფიერი რომ იყოს, ამისათვის საჭიროა მათს ორგანიზებულ შრომას მთელი სერიოზულობით მოეკიდონ და ხელმძღვანელობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების, კომკავშირის საქალაქო კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები. ქალაქიდან სოფლად ჩასულ ყოველ ჯგუფსა თუ რგოლს გამრჯე, უნარიანი ხელმძღვანელი უნდა მივუჩინოთო, რათა ყველამ გააკეთოს ამის მაქსიმუმი, რაც შეუძლია ამასთან ხაჭიროა დავიცვათ მტკიცე დისციპლინა, არც ერთი უქნარა და წესრიგის დამრღვევი არ უნდა იყოს შაბათობაზე.

ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია რესპუბლიკის სახელი, ბამოგა შაბათობაზე სოფლის მშრომელთა მხარდამხარ ენერგიულად იმუშავეთ სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივები, ინტელიგენცია, სტუდენტობა.

მინდვრები გვიხმობენ, მეგობრებო! ყველანი შაბათობაზე, სათიბად ამხანაგებო!

გაორკეცებული ენერგიით ავანაზღაუროთ უამინდოგით დაკარგული დრო

აგაშელთა სიტყვა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო წერილში დრმა ანალიზია მოცემული, მითითებულია ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველაზე ოპტიმალური ფორმები.

აბაშის რაიონის პარტიული ორგანიზაცია მხედველობაში იღებს უამინდობით გამოწვეული მინდვრის საკაბიტალო სამუშაოთა დაგვიანებას, მთელ საქმიანობას წარმართავს მაღალი ორგანიზებულობისა და უდიდესი პასუხისმგებლობის ატმოსფეროს შესაქმნელად. წელს ხომ აბაშელები ბარმანდილზე ვაკეთებთ მეტ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ჰექტრებიან სამშობლოს! ეტაბოლოგიანი კულტურები 17.645 ჰექტარზე უნდა დაითესოს, 5.000 ჰექტარს დაიკვებს სიმინდი. მკვეთრად გადიდდება სოიისა და ლობიოს ნათესები. დიდ ფართობზე უნდა გაშენდეს ეთერზეთოვანი და ბოსტნეული კულტურები. ასე რომ, რაიონს მხვნელ-მთესველებს დამაბული და თანამიმდევრული შრომა ელით. ჩვენ ვარაუდ გვიხსნის, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ზედიზედ ხუთჯერ გამარჯვებულ რაიონს მიღწეულ დონეზე შენერების მორალური უფლება არა აქვს. ამიტომაც გადაწყვიტეთ ეს წელი იყოს ახალი ძიების, მაღალნაყოფიერი შრომისა და სტაქანოვზე ხახელოვანი გამარჯვების წელი. გადავუყვეტეთ, ეაწარმოოთ 22.000 ტონა სიმინდის მარცვალი. ეს ნიშნავს ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 44 ცენტნერი, რაც 13 ცენტნერით გაზრდის საგაგმო მახვენებლებს. ჩვენგან ახალმწიფო მიიღებს 9.000 ტონა ბოსტნეულსა და 6.300 ტონა ეთერზეთოვან კულტურებს, — გეგმაზე საგრძნობლად მეტს. ვისურვებთ ეაწარმოოთ 3.400 ტონა რძე, ახალმწიფოს მივყიდოთ 2.300 ტონა ხორცი, 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

თითოეულ სულ პირუტყვზე დავამზადებთ 26 ცენტნერ საკვებ ერთეულს. რაიონში 8 ათასი ტონის ნაცვლად 15 ათასი ტონა სენაჟი, 19.000 ტონის ნაცვლად 40 ათასი ტონა სილოსი, 21.946 ტონის ნაცვლად 29.846 ტონა ჭალური საკვები დამზადდება.

თესავა ფართო ფრონტით. ამიდიდნარეობს. ბევრგან ისევ ეწყალი დგას და ნიადაგის სათესად მომზადება ანელდება. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შედგენილია თესვის გეგმა-გრაფიკი, რომელსაც ზუსტად იცავენ. ამ გეგმის მიხედვით ყოველ სამუშაო დღეს რაიონში სამინდი 600-700 ჰექტარამდე თესება.

საგაზაფხულო სამუშაოები, მარტო ჭალნელ-მთესველებს რომ მივიანდეთ. ეს პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა, მექანიზატორებთან და მინდორის მშრომელებთან ერთად არიან დღეს რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები, პასუხისმგებელი მუშაკები, მთელი აქტივი.

როგორც ადგილზე, ისე რაიონული მასშტაბით სოციალისტური შეჯიბრების კომისიები ყოველდღიურად იღებენ გამარჯვებულებს. ეწყობა მათი მორალური და მატერიალური წახალისება. რაიკოოპერატორის გამგეობა სამეურნეო ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს უშუალოდ მინდორად (ცხელი ერეკების ზეშედგომა, მიმდინარეობს თვალსაჩინო აგიტაცია, გამოდის ელვა-ფურცლები, გამარჯვებულ რგოლებს და კოლექტივებს ეგზავნებათ პარტიის რაიონული კომიტეტის მილოცვის დეპეშები.

ვიზიტად მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული 17 მაისს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ხოსე ლოპეს პორტილიო.

მექსიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელებმა ხ. ლ. პორტილიოს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირნი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა და მეზღვაურთა საპატიო ყარაული. ლ. ი. ბრეჟნევმა და ხ. ლ. პორტილიომ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობს. შესრულდა მექსიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქის ქუჩები და მოედნები, რომლებითაც მოტოკოლონა გადმოვლიდა, მოორთული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ტრანსპარანტებით. (საკდესი).

ხურათზე: ვნუკოვოს აეროდრომზე შეხვედრის დროს.

ფოტო-ხატენ შირინის ტელეფოტო.

საბჭოთა კავშირ-მექსიკის მოლაპარაკება

17 მაისს კრემლში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ჰქონდათ მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ხ. ლოპეს პორტილიოსთან, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირში.

მოლაპარაკების დროს, რომელშაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის საკითხებზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ეს ურთიერთობა ეშყარება მტკიცე ხახელშეკრულებო ბაზის და კარგი მაგალითია სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელსაც საფუძველად უდევს თანასწორუფლებიანობა, ერთმანეთის პატივისცემა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის ახლობელი და გასაგებია მექსიკელი ხალხის და მისი მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია თავისი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, იმ ხელშეუფალი უფლების დაცვა, რომ თავისუფლად განაგებდნენ ეროვნულ ბუნებრივ რესურსებს.

აღინიშნა, რომ ორივე მხარე ესწრაფვის კვლავაც განამტკიცონ და გაფართოონ სხვადასხვა დარგში ორმხრივი თანამშრომლობა საბჭოთა და მექსიკელი ხალხების ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და უმიშროების განმტკიცებისათვის.

ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მათ დაადასტურეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც აქტიური ღონისძიებებს მიმართონ იმისათვის, რომ დაძაბულობის შენელება სტაბილური და შეუქცევად პროცესად გადაიქცეს და მსოფლიოს ყველა რაიონზე გავრცელდეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების რეალურ ღონისძიებებზე გადასვლის ხაკითხს. საბჭოთა კავშირმა, აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა არსი ის არის, რომ ჩაეკეტოთ გამალებული შეიარაღების, — როგორც ატომური, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების — ყველა არხი და ამით პირობები შეფუძნათ მის შემდგომ შემცირებას.

ორივე მხარემ დიდი დაინტერესება გამოთქვა იმით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია განიარაღების საკითხებზე, რომელიც მალე გაიმართება, წარმატებით და ნაყოფიერად დამთავრდეს.

როგორც ხ. ლოპეს პორტილიომ განაცხადა, მექსიკაში დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, რომ შეუერთდეს ხელშეკრულებას ლათინურ ამერიკაში ატომური იარაღის აკრძალის შესახებ. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

17 მაისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ ხელი გაუმართეს მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხოსე ლოპეს პორტილოს.

პრეზიდენტთან ერთად საღამოს იყვნენ სსრ კავშირში მოგზაურობის დროს მისი თანმხლები პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საღამოს იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ა. გრომიკო, პ. ნ. დენიჩეევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

საღამოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო მექსიკელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

დიდ სიამოვნებას მგვრის გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს მეუღლესა და თქვენთან ერთად ჩამოსულ მექსიკის შეერთებული შტატების ყველა სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს.

ჩვენი შეხვედრა ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ურთიერთობა. გეოგრაფიულად ჩვენი ქვეყნები შორს არიან ერთმანეთისგან, სხვადასხვა ნახევარსფეროში. მაგრამ მანძილი ხელს არ უშლის თანამშრომლობას, როცა გულწრფელად სურთ მეგობრობა.

რა ასოციაციას იწვევს საბჭოთა ადამიანებში მექსიკაზე წარმოდგენა? უწინარეს ყოვლისა მექსიკელ ხალხის ვაჟკაცური ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა კავშირში ძველთაგანვე სიმპათიითა და პატივისცემით ეკიდებიან მექსიკელთა მხურვალე პატრიოტიზმსა და მათი განმათავისუფლებელი, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის სახელოვან ტრადიციებს.

საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის ისტორია ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. ამ ისტორიაში ბევრი ბრწყინვალე და სასახელო ფურცელია ჩაწერილი. ჩვენი ქვეყნების მეგობრობამ გაუძლო დროის გამოცდას.

დღეს სსრ კავშირსა და მექსიკას შორის ბევრ დარგში ურთიერთხელსაყრელი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა დამყარდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე.

ჩვენს ურთიერთობას, უთუოდ, ტონს ანძლევს მრავალფეროვანი პოლიტიკური კონტაქტების წარმატებით განვითარება. მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლის საქმის ერთგულება, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობა მისათვის სამყოფი საძირკველი წარმოადგენს. ჩვენ ადვილად ვპოულობთ საერთო ენას საერთაშორისო პოლიტიკის ბევრ საკითხში, საერთო ან დაახლოებული პოზიციებიდან ვუდგებით თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს. რეგულარული კონსულტაციები, საპარლამენტო დელეგაციათა გაცვლა, და, რა თქმა უნდა, უმაღლესი დონის შეხვედრები — ყოველივე ეს ხელს უწყობს ურთიერთგაგებისა და ურთიერთნდობის განმტკიცებას, შემდგომი თანამშრომლობის ნიშანსვეტების დასახვას.

რაც შეეხება საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, აქაც ჩვენ კარგი პერსპექტივები გვაქვს. დღესდღეობით ვაჭრობის მოცულობა არცთუ ისე დიდია, მაგრამ საქონელი, რომელსაც ჩვენ ვცვლით, სჭირდება ჩვენი ქვეყნების სახალხო მეურნეობას. ამავე დროს გვაქვს სოლიდური სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა. საქმე ის არის, რომ რაც შეიძლება რაციონალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი.

საიდუმლოება არ არის, რომ საბჭოთა ადამიანები გაგებით ეკიდებიან მექსიკელი ხალხის ღონისძიებებს თავისი ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, უცხოეთის კაპიტალის ექსპლოატაციისაგან საკუთარ ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისათვის. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიებანი უკავშირდება ლათინური ამერიკისა და ყველა განვითარებადი ქვეყნის ბრძოლას უცხოეთის მონოპოლიათა ძალმომრეობის წინააღმდეგ, დემოკრატიულ, სამართლიან საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისათვის.

საბჭოთა ადამიანების დიდ ინტერესს იწვევდა მუდამ მექსიკის მრავალსუკუნოვანი თავისთავადი კულტურა. ჩვენს კულტურულ და მეცნიერულ ურთიერთობას დასაბამი ჯერ კიდევ 20-იან წლებში მოეცა. საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორიც იყვნენ აკადემიკოსი ვავილოვი, პოეტი მაიაკოვსკი, კინორეჟისორი ეიზენშტეინი, თავის დროზე ეწვივნენ მექსიკას, რომელმაც შესანიშნავი, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მათზე. თავის მხრივ, მექსიკური კულტურის ირაერთი მოღვაწე ყოფილა ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის მექსიკელი ხალხის გამოჩენილი შვილები, მთელ მსოფლიოში ცნობილი მხატვრები დიეგო რივერა და დავიდ სიკეიროსი.

სასიხარულოა, რომ ჩვენი ურთიერთობა ერთ ადგილზე კი არ არის გაყინული, არამედ დინამიკურად ვითარდება. განსაკუთრებით ინტენსიური ბიჯი, იგი 70-იან წლებში. მარტო უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე სსრ კავშირსა და მექსიკას შორის მეტი სახელმწიფო და სხვა შეთანხმებანი დაიდო, ვიდრე მთელ ომისშემდგომ პერიოდში.

ბატონო პრეზიდენტო!

მტკიცე მშვიდობა, ხალხთა უშიშროება, მათი მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის გაგებითარება — ასერთა საბჭოთა კავშირის სგარეო პოლიტიკის ღერძი.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისათვის ბრძოლის ქვაკუთხედად მიაჩნია გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და განიარაღება. მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში ჩვენი ქვეყანა მარტო არ არის. ჩვენ მხარეში გვიდგანან სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები და ბევრი სხვა სახელმწიფო, მთელი ომისმოწინააღმდეგე ძალები, ყველა კეთილი ნების ადამიანი.

ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს გაერთიანებული მეცადინეობით — და აქ ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ მექსიკის წვლილსაც — უკვე დავდეთ მთელი რიგი საერთაშორისო და ორმხრივი შეთანხმებანი, რომლებიც რამდენადმე ზღუდავენ ცალკეულ სახეობათა იარაღის წარმოებასა და განლაგებას. და საერთოდაც უკანასკნელ ათწლეულს ბევრი კარგი, მე ვიტყოდი, ჯანსაღი ცვლილებანი მოჰყვა საერთაშორისო ურთიერთობაში. მათ მიიღეს საერთო დასახელება — საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

ამასთანავე პირდაპირ უნდა ითქვას: არიან ძალები, — თანაც გავლენიანი ძალები, — რომელთა მისამართი ცნობილია, — რომლებსაც უკვე დიდი ხანია საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების ბილი აქვთ და თავიანთი ინტერესები გამალებულ შეიარაღებას დაუკავშირეს.

აი რა არის იმის თავდათავი, რომ საომარი სამზადისის ტემპი ძლიერდება და, შესაბამისად, მატულობს ომის საფრთხეც. დროა, ბოლოს და ბოლოს, რეალური ღონისძიებანი განვახორციელოთ, რათა აღვაგმით გამალებული შეიარაღება და დასაბამი მივცეთ განიარაღებას.

სწორედ ამ მიზნით წამოვაყენეთ ამას წინათ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა კონკრეტული პროგრამა, რომელთა მიზანია დიდი სამხედრო პოტენციალის სახელმწიფოთა შეიარაღების და შეიარაღებული ძალების შემდგომი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდის სრული შეწყვეტა. ჩვენ გვინდა, რომ შეწყდეს ატომური იარაღისა და ყველა მისი სახეობის წარმოება; რომ აღარ იწარმოებოდეს და აიკრძალოს ყველა სხვა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღი; რომ აღარ იქმნებოდეს დიდი დამანგრეველი ძალის ახალ სახეობათა ჩვეულებრივი იარაღი, რომ ეშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოებიდა მათთან სამხედრო შეთანხმებებით დაკავშირებული ქვეყნები აღარ იფართოებდნენ თავიანთ არმიებს და აღარ აღიდგებდნენ ჩვეულებრივ შეიარაღებას.

(დასასრული მე-3 გვ.)

რუსთაველები შაბათობაზე

რუსთავი. (საკ. კორ.). მაღლუჯისა და ჩათმის მთების ფერდობებს ცელებით შეიარაღებული ათასობით რუსთაველი მშრომელი შეესევა შაბათს ბალახის სათიბად. მწვანე მასას აიღებენ აგრეთვე მტკვრის ორივე მხრის სანაპიროზე, ქალაქის პარკებში, საწარმოთა ტერიტორიებზე და მწვანე ზოლის მიდამოებში.

შაბათობაში მონაწილეობის მისაღებად ჯამოვლენ სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა კოლექტივების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფტექნიკური სასწავლებლების აღსაზრდელები და მოსწავლეები, რომლებიც უფროსებს ნათობის დაზვინვაში დაეხმარებიან.

მეტალურგები 35 ტონა თივის დამზადებას ვარაუდობენ, ამწემშენებლები — 3 ტონას, ქიმიური ბოჭკოს ქარხნისა და ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მშრომელები — 20-სა და 12 ტონას. ქიმიური ქარხნის წარმომადგენლები ამ დღეს ქარხნის დასასვენებელი ზონის მიდამოებში ამუშავებენ.

განზრახულია, რომ 20 მაისს ოცი ათასზე მეტი რუსთაველი გამოვა და 120 ტონა მწვანე მასას დაამზადებს, რომელსაც ღორის სასუქებელ საბჭოთა მეურნეობას ჩააბარებენ.

ბ. მგელაძე,

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

თითოეულ სულ პირუტყვზე დავამზადებთ 26 ცენტნერ საკვებ ერთეულს. რაიონში 8 ათასი ტონის ნაცვლად 15 ათასი ტონა სენაჟი, 19.000 ტონის ნაცვლად 40 ათასი ტონა სილოსი, 21.946 ტონის ნაცვლად 29.846 ტონა ჭალური საკვები დამზადდება.

თესვა ფართო ფრონტით მიმდინარეობს. ბევრგან ისევ ეწყალი დგას და ნიადაგის სათესად მომზადება ანელდება. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შედგენილია თესვის გეგმა-გრაფიკი, რომელსაც ზუსტად იცავენ. ამ გეგმის მიხედვით ყოველ სამუშაო დღეს რაიონში სამინდი 600-700 ჰექტარამდე თესება.

საგაზაფხულო სამუშაოები, მარტო ჭალნელ-მთესველებს რომ მივანდეთ. ეს პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა, მექანიზატორებთან და მინდორის მშრომელებთან ერთად არიან დღეს რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრები, პასუხისმგებელი მუშაკები, მთ

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხანა:

მეორე დაბადება

საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობა მეათე ხუთწლედში კვლავ უპირატესი ტემპით ვითარდება. დაჩქარდა ქარხნებიდა და საამქროების ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება-ათვისება, უფრო სრულად გამოიყენება მოქმედ ფართობებზე პროდუქციის გამოშვების ზრდის რეზერვები.

ელექტროტექნიკაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ელმავალმშენებლობას, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭება. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შემუშავებულია ღონისძიებანი, რომ უახლოეს წლებში განვითარდეს სამაგისტრალო და სამრეწველო ელმავლების, ელექტრომოწყობილობისა და ელმავალ-ელექტრომატარებლების სათადარიგო ნაწილების საწარმოო სიმძლავრენი. კერძოდ, გათვალისწინებულია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის მეორე დაბადება და რეკონსტრუქცია. ამ მიზნით, რომ განხორციელდეს ამ სამუშაოთა კოორდინაცია, გაუმჯობესდეს მშენებლების, მემონტაჟეებისა და ექსპლოატაციის მუშაკების კოლექტივების მოქმედების მართვა, შეიქმნა შტაბი, რომელსაც მეთაურობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ა. ჩხეიძე. შტაბში შედიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები.

ამჯ. ჩხეიძემ საქინფორმის კორესპონდენტს უამბო, თუ რა გაკეთდა უკვე დასახული გეგმების შესასრულებლად, როგორია მომავლის ამოცანები:

— გასული საიუბილეო წლის დამლევს საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაური საწარმოს, — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა სამაგისტრალო ელმავლების წარმოების ათვისების 20 წლისთავი აღნიშნა. ამ წლების მანძილზე შექმნილი ათასობით მძლავრი ლოკომოტივი დადის ახლა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალებზე.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ქარხნის კოლექტივმა მიცხრე ხუთწლედსა და ათი ხუთწლედის პირველ წლებში. პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 55 პროცენტით — ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 10 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. დაწერილია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური გეგმის 2 ათასამდე ღონისძიება.

საგრძნობლად გაიზარდა „ელ-10“ მარკის სერიული სამაგისტრალო ელმავლების საიმედოობა და ხანგძლივობა. გამოშვებულია უფრო პროგრესული მრავალსექციანი „ელ-11“ ელმავლები, ათგისებულია აგრეთვე სამრეწველო კომპლექტაციის ელმავლებისა და ელექტრომატარებლების სერიული წარმოება.

თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის შემდგომი გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებებით გათვალისწინებულია, რომ 1981 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდოს სამგზისტრალო ელმავლების წარმოების სიმძლავრენი. აგრეთვე მოგვარდეს საეკონომიო ნაწილების (ძარღვისა და ურიკების) გამოშვება, რომელსაც ამჟამად თბილისს ნოვოჩერკასკის ელმავალსაშენებელი ქარხანა უგზავნის.

ამრიგად, თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში გათვალისწინებულია განხორციელდეს სამაგისტრალო ელმავლების წარმოების სრული ტექნოლოგიური ციკლი. ამასთან სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთიორად გაიზრდება.

გათვალისწინებულია აგრეთვე 10 ათას კიბინაძალაზე მეტი სიმძლავრის მუშმივი დენის ახალი სამგზისტრალო ელმავლების გამოშვებაზე გადასვლა, რომელთა ტექნიკური პარამეტრები და საიმედოობის მაჩვენებლები შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ დონეს. ეს ელმავლები განკუთვნილია მუდმივი დენით ელექტროფიცირებული ტერიტორიებისა და კოლექტივებში. შექმნილ საჭირო პირობები ადამიანთა ეფექტიანი მუშაობისათვის.

სერიოზული ყურადღება დაეთმობა კომუნისტთა განაწილებას მშენებლობის ყველა უმნიშვნელოვანეს პრობლემის გადაჭრაში, როგორიცაა საწარმოო კოლექტივის ჩამოყალიბება ახალი საამქროებისა და კორპუსების დასაკომპლექტებლად.

მუშაობის ეფექტიანობის განუხრელი ამაღლებისა და მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ნაცადი საშუალება — სოციალისტური შეჯიბრება — მუდამ იქნება შტაბის ყურადღების ცენტრში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კარგ ნაყოფს გამოიღებს ცალკეული ბრიგადების, უბნების, სამმართველოებისა და ტრუსტების შეჯიბრების მარჯვე ორგანიზაცია, მომიჯნავი ხელშეკრულებები „მეუხრო ისტაფეტის“ პრინციპით. შეჯიბრებები პროფესიათა მიხედვით, ვეტერანთა შეფობა ახალგაზრდებისადმი, დამრიგებლობა. წარმოების რეზერვების საზოგადოებრივი დათვალიერებანი და ა. შ.

სოციალისტური შეჯიბრების ფართო ჭიანურობა, ადამიანთა მაღალი შემოქმედებითი აქტიურობა, მშენებლობისა და მოწყობილობის დამონტაჟების ოპტიმალური ვარიანტების გამუდმებული ძიება შესაძლებლობას მოგვცემს, რომ თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის სამშენებლო მოედანი გადავაქციოთ „კაპიტალური მშენებლობის უახლესი მეთოდების დანერგვის გიგანტურ ლაბორატორიად“ ჩვენ. მაგალითად, წინაადგილებს ვიძლევით, რომ კორპუსში დადგენილ ვადებზე ადრე დაგვიანებლად შესრულდეს, ეფექტიანი ნაკადური მეთოდი გამოიყენოთ, როცა მშენებლობის მთელი მოცულობა თითოეული ტექნოლოგიური ზონის მიხედვით სრულდება სპეციალიზებულ ნაკადებად. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გარკვეულ უბანზე მოუყაროთ თავი შრომითს რესურსებს, მექანიზმებს, მასალებს. ყოველ ზონაში, თითოეულ უბანზე დასაქმებული იქნებიან სხვადასხვა პროფილის ბრიგადები, რომლებიც ორგანიზაციულად სხვადასხვა უწყებებს განეკუთვნებიან. მაგრამ ეს მეთოდი მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი, თუ ყველა ბრიგადა გაერთიანებულ სხეულად ერთ მოწყობილ კრებაზე, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოთა მუშაკების პარტიულ-სამეურნეო აქტივი მონაწილეობდა. აერძოდ, საგულისხმო წინადადებები და რეკომენდაციები დასახა საწარმოებში ყოფნისას და აქტივის კრებაზე გამოსულისას სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის მინისტრმა ა. კ. ანტონოვმა.

...დიდ საწარმოთა მეორე დაბადება რესუბლიკაში პირველად როდი ხდება. მაგრამ თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის, დიდი ლენინის სახელობის საწარმოს რეკონსტრუქცია და გაფართოება ეკავებოდა ერთ-ერთ ადგილს ამ ხანებში. ეს ამ ფონზე ხდებოდა. ამ ფონზე ეს ადგილი ეკავა ამ ფონზე. ეს ეს ეს

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

„ი რას გთავაზობთ უახლოესი მომავლისათვის. ჩვენი აზრით, ასეთი პროგრამა შეესაბამებოდა ყველა ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებებს და მას მზარი უნდა დაუჭიროს ყველა მშვიდობისმოყვარე მთავრობამ. მათ შორის, როგორც ჩვენ ვიმედოვნებდით, მექსიკის მთავრობამაც.

სავსებით ცხადია, რომ განიარაღების საქმე მარტო საბჭოთა კავშირზე არ არის დამოკიდებული. მარტო ჩვენი ნება რომ იყოს საკმარისი, კაცობრობა უკვე დიდა ხანია განთავისუფლდებოდა გამლეკავი ომიარაღების ტვირთისაგან. მაგრამ განიარაღების პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საერთო ძალებით შეიძლება.

ამიდა გვიჭირს. რომ ეფექტიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სპეციალურ სესიაზე ყველა სახელმწიფო. მათ შორის მიუმხრობელი სახელმწიფოებიც, და, რა თქმა უნდა, მექსიკაც, თავიანთ სასარგებლო წვლილს შეიტანენ განიარაღების პრობლემის გადაწყვეტაში.

მინდა შეგახსენოთ ავრეთვე დიდმნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაბიჯი, რომელსაც საბჭოთა კავშირი დგამს ატომური ომის საფრთხის შენელების თავიის პრინციპული ხაზის შესაბამისად. ჩვენმა ქვეყანამ ვადაწყვიტა ხელი მოაწეროს ლათინურ ამერიკაში ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დამატებითს ოქმს.

როცა ვკისრულობთ ვალდებულებას. პატივი ვცეთ ლათინური ამერიკის კონტინენტზე უატომო ზონის სტატუსს, იმით ვხელმძღვანელობთ, რომ სხვა ატომური სახელმწიფოებიც განუხრელად დაიცვენენ ამ სტატუსს, რომ ხელშეკრულების მონაწილენი უზრუნველყოფენ მისი მოქმედების ზონაში ნამდვილ უატომო რეჟიმს. საერთოდ, როგორც ვფიქრობთ, ეს ჩვენი ნაბიჯი ხელს შეუწყობს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

დასასრულ, ბატონო პრეზიდენტო. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა. რომ თქვენი ვიზიტი და ჩვენი აზრთა გაზიარება თვრთო წრის საკითხებზე ახალ იმპულსს მისცემს საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის განმტკიცებასა და გათვართობას. დღეს დაწყებულმა მოლაპარაკებამ დადასტურა. რომ ჩვენს ქვეყნებს სურთ ყოველნაირად განავითარონ თანამშრომლობა, მიანიჭონ მას უფრო ფართო და დინამიკური ხასიათი.

ნება მიბოძეთ, ვადაეგრძელო მექსიკის პრეზიდენტი ხოსე ლოპეს პორტილიო და მისი მეუღლე!

დაეგრძელობა ჩვენს მექსიკელ ხტუვრებს!

ვადაეგრძელებ საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ხალხთა მეგობრობას!

• • •

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ხ. ლ. პორტილიომ.

ხ. ლ. პორტილიოს სიტყვა

პატივცემულო ბატონო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურო სესიაზე ლ. ი. ბრეჟნევ!

პატივცემულო ბატონო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინ!

დიდი კმაყოფილებით მივიღე გულთბილი მეგზეენა ჩამოვსულიყავი თქვენს ქვეყანაში, რათა გავცნობოდი საბჭოთა ხალხსა და სსრ კავშირის მთავრობას. რამდენადაც ეს ნიშნავს იმ პერიოდში დაწყებული საყურადღებო დიალოგის განვრძობას, როდა ჩვენი ქვეყნების ხალხებმა იარაღით ხელში ის-ის იყო მოახდინეს რევოლუცია და იბრძოდნენ შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ. იმ დროს დამყარებულ კონტაქტებს ახლაც, ნახევარი საუკუნის გავლის შემდეგაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზზიარად ამბობენ, რომ ჩვენმა ქვეყანამ პირველმა ამერიკის კონტინენტზე დაამყარა ურთიერთობა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთან. დღეს დიდი კმაყოფილებით მინდა კვლავ აღვნიშნო ეს ფაქტიც, რომ ეს ფაქტი მოწმობს ნამდვილ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ჩვენი მეგობრობის ხასიათს.

მე ამ ჩამოვედი, როგორც მექსიკელი ხალხის წარმომადგენელი, მტკიცე განზრახვით, რომ გავაძლიერო ეს კავშირი, რომელიც თანდათანობით და თანამიმდევრულად აფართოებს ჩვენს ურთიერთობას ორი ქვეყნის ეროვნული დაშორების მიუხედავად და ხელს უწყობს ურთიერთგაგების ზრდას თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრის გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრის მიზნით.

მექსიკა ქვეყანა, რომელიც ამაყობს თავისი დამოუკიდებლობით, რომლის მოპოვებისა და დაცვისათვის საჭირო იყო დიდი მეცადინეობა. ეს არის საზოგადოება, რომელიც შეკავშირებულია ნახალო მოძრაობით შობილი საკუთარი იდეალების გარშემო. ჯერ კიდევ არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, მექსიკას აქვს განვითარებული ინფრასტრუქტურა და ორგანიზაციული სისტემა, მატერიალური და ადამიანთა რესურსები, მისი მიზნები ზუსტად არის განსაზღვრული. ყოველივე ეს ქმნის პირობებს ჩვენი კონსტიტუციით განსაზღვრული საზოგადოების აშენებისათვის.

როგორც კარგად მოგეხსენებათ, მექსიკის პოლიტიკა უაღრესად თანამიმდგომია. ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ კურსში არაფერი არ ეწინააღმდეგება მექსიკის სოციალური რევოლუციის პრინციპებს.

მექსიკის დიპლომატიის სწორი გაგების გასაღებია რევოლუციის ისტორია. მისი ბრძოლა და მიზნები, ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ეხლემძღვანელობთ მკაფიო და უცვლელი საერთაშორისო პრინციპებით, რამდენადაც ისინი ღრმად დამკვიდრდა ჩვენს თვითშეგნებაში. მათი ჩამოთვლა კი შესაძლებლობას გვაძლევს მაშინვე განვსაზღვროთ ის ნორმები, რომლებსაც ვასრულებთ. ჩვენ ბრძოლა ეუმერთ ხალხთა თვითგამორკვევას იმიტომ, რომ ვიტანჯებოდით კოლონიალიზმის ზაგრისაგან და სრული შეგნებით ვგმობთ მას და მის ყოველგვარ გამოვლინებას. ჩვენ მოვითხოვთ სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემასა ჩადგან კარგად გვახსოვს მოგაბეზრებელი პრეტენზიები ჩვენი რევოლუციის მიმართ, რომელიც მოითხოვა უცხოელთა მიერ მონოპოლიზებული მიწის, წყლისა და წიაღის ხალხისათვის გადაცემა, და დეკრეტით დაამტკიცა კერძო საკუთრების სოციალური შეზღუდვები. ჩვენ ვიცავთ სახელმწიფოთა ურთიერთულ თანასწორობას, რომელიც საქართველოს მეორე-ოფიციალურ ენად აღიარებს. ეს ენა ამ ადგილებში ოფიციალურად ხელს რომ მოვაწერთ ამ ვალდებულებას, მეტად მივუახლოვდებით ამის განხორციელებას, რაც წინათ ლათინური ამერიკელების მხოლოდ ოცნება იყო.

ტლატელოლკოს ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. „ეგი მოასწავებს ეკონომიკურ ინტეგრაციას. ეს ეკონომიკური ინტეგრაცია ამერიკის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებას.

დასასრულ, ბატონო პრეზიდენტო. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა. რომ თქვენი ვიზიტი და ჩვენი აზრთა გაზიარება თვრთო წრის საკითხებზე ახალ იმპულსს მისცემს საბჭოთა კავშირ-მექსიკის ურთიერთობის განმტკიცებასა და გათვართობას. დღეს დაწყებულმა მოლაპარაკებამ დადასტურა. რომ ჩვენს ქვეყნებს სურთ ყოველნაირად განავითარონ თანამშრომლობა, მიანიჭონ მას უფრო ფართო და დინამიკური ხასიათი.

ნება მიბოძეთ, ვადაეგრძელო მექსიკის პრეზიდენტი ხოსე ლოპეს პორტილიო და მისი მეუღლე!

დაეგრძელობა ჩვენს მექსიკელ ხტუვრებს!

ვადაეგრძელებ საბჭოთა კავშირისა და მექსიკის ხალხთა მეგობრობას!

ხ. ლ. პორტილიოს სიტყვა

ვა აღიარება თავისი მუდმივი ინიციატივების მეოხებით, რომელთა მიზანია განიარაღების, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა.

ჩვენ, მექსიკელები, მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ, რადგან გვწამს, რომ ჩვენს ჰუმანურ მიზნებს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ მსოფლიო თანხმობა იქნება. თუმცა ჩვენ არ ვმონაწილეობთ გამლეკავულ შეიარაღებასა და საბრძოლო კავშირებში, მაგრამ ჩვენც განვიცდით შეუზღუდავი სამხედრო ხარჯებით წარმოშობილ არასტაბილურობისა და კრიზისების შედეგებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა არ არის პრობლემა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს ეხებოდეს, იგი ეხება ყველა ქვეყანას, რადგან ატომური საფრთხე ვრცელდება მთელ პლანეტაზე. ჩვენ ვგმობთ იმ ქვეყნების პასიურობას, რომლებსაც თავი უცხოდ მიაჩნიათ ამ ბრძოლაში, და რომლებიც იმას იმიზეზებენ, რომ არასაკმაოდ ძლიერი ან ერთობ პატარა ქვეყნები არიან. ჩვენ უარვყოფთ აზრს, თითქოს ძალა მშვიდობის მიღწევის საშუალება იყოს, და გვწამს მშვიდობიანი საშუალებების მორალური ძალის ეფექტიანობა. ჩვენ ურომიოდ არ მივვაჩნია იმათი ბრძოლა მშვიდობისათვის, ვისაც არა აქვს ომის წარმოების საშუალებანი, და არც იმათი ბრძოლა, ვისაც არ სურს ჰქონდეს ასეთი საშუალებანი.

სახელმწიფოთა იურიდიული თანასწორობა და მათი აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციათა მუშაობაში მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ღონიერს ხდის იმათ, ვინც გონების პიზიციიდან გამოდის, და მსოფლიო ძალადობას ანიშებს მათ ხმას.

სრულფასოვნად არ მიგვაჩნია მშვიდობა, როშლის პირობებში დღემდე ცხოვრობდა კაცობრობა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია მშვიდობისათვის ამ სიტყვის სამდელი მნიშვნელობით. ჩვენ გვწამს პოზიტიური მშვიდობა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ყველა ხალხს მონაწილეობით შეგვქმნა სრული ურთიერთმოქმედების საერთაშორისო სისტემა და რომელსაც მოჰყვებოდა სიმდიდრეთა სამართლიანი განაწილება და შესაძლებლობათა ნამდვილი თანასწორობა.

მაგრამ ტლატელოლკოს ხელშეკრულება მარტო ამას რიდი ნიშნავს. იმიდის გაცრუებით აღსავსე მსოფლიოში იგი იმის მაგალითია, რომ არსებობს გზები, რათა ბოლო მოეღოს ძალადობას. ამ დოკუმენტში ხორცშესხმულია როგორც იმ ქვეყნების ნება, რომლებსაც არა აქვთ ატომური იარაღი, ისე ატომური სახელმწიფოების ნებაც. ამეამად საბჭოთა სახელმწიფომ მას დიდმნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია. ამასთან დაკავშირებით უდიდეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე ბრეჟნევ; საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ამ დიადი ქვეყნის მთელ ხალხს.

მეორე მხრივ, გვინდა ვთქვათ, რომ ხელშეკრულება, რომლის გაფორმება მალე დამთავრდება, არ მიგვაჩნია მიღწევად მარტოოდენ ჩვენი საკუთარი ინტერესებისათვის ანდა იმ ადამიანთა თავისებური იზოლაციონიზმის გამოვლინებად, რომლებმაც თავიდან აიცილეს მსხვერპლად ქცევის საშიშროება. კარგად გვესმის, რომ ჩვენი ბედი მთელი კაცობრიობის ბედისაგან განუყოფელია, და ამიტომ დღენიადაგ ვეცდებით მთელი ჩვენი მეცადინეობა მოვახმაროთ საყოველთაო მშვიდობას. ჩვენს საომელს ვიტყვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღებისადმი მიძღვნილ მომავალ სპეციალურ სესიაზე და სხვა შესაბამის ფორუმებზე.

დასაწყისი ურიგო როდი გვქონდა: ჩვენ ყველამ ერთად, ღიმა და პატარა ქვეყნებმა შევძელით შეგვექმნა ატომური იარაღისაგან თავისუფალი პირველი ზონა; ბევრი სხვა რაიონი ესწრაფვის მაღწიოს ანალოგიურ სტატუსს, არის პრაქტიკული პროექტები, რომლებიც, იმედი გვაქვს, წარმატებით დამთავრდება. ამ პირველი წარმატების საფუძველზე ვეცდებით გავაფართოოთ მშვიდობის გეოგრაფიის საზღვრები. საერთაშორისო ნორმები, რომელთა მიზანია ახალი ეკონომიკური წყობის დამყარება. იმ ღონისძიებათა ნაწილია, რომლებიც განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს. რათა თავიდან აეცილებინათ დაძაბულობისა და კონფლიქტების მიზეზები.

საბჭოთა კავშირმა ერთიანებული ერების ორგანიზაციაში მტკიცედ დაუჭირა მხარი სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტიის მიღებას, რომელიც ახალი მსოფლიო ეკონომიკური წყობის ერთ-ერთი დასაყრდენია.

ქარტია მიღებულია, ახლა საჭიროა მას სრული ქმედითობა მიენიჭოს. ჩვენ მოგველის ახალი ბრძოლა: დავძლიოთ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლის ხალხთა შორის სამართლიანი ურთიერთობის დამკვიდრებას ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით მათი პოლიტიკური სისტემების განსხვავების მიუხედავად.

სხვა მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ გადაწყვიტონ. საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, ასეთია: დავამთავროთ ეკონომიზაციის პროცესი და ამასთანავე აუცილებელად გავაუქმოთ მექანიზმები, რომელთა შედეგადაც შენარჩუნებულია ბატონობისა და დამოკიდებულების მდგომარეობა; დავიცვათ ახალი სახელმწიფოების თვითგამორკვევის უფლება და სუვერენიტეტი, ხელი შევუწყოთ მათი შინაგანი კონსოლიდაციის პროცესს ამ ქვეყნების ინტერესებისადმი უცხო, ახალი და გაფოფილი მანევრების ჩაშლის მიზნით; დავიცვათ თითოეული ქვეყნის სრული სუვერენული უფლება განგებდეს საკუთარ რესურსებს და, რა თქმა უნდა, ცენტრალური ამოცანა განვამტკიცოთ თანამშრომლობა ყველა ხალხის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი ფუძემდებელ მონაწილეობას იღებს ამ გრანდიოზულ ამოცანაში.

ოქვენ შექმენით მძლავრი და აღმშენებელი სახელმწიფო, ხალხთა, გაერთიანებულ რესპუბლიკათა შესანიშნავი კავშირი, რომლებმაც ვრცელი, წინათ უკაცრელი ან საუკუნო ჩამორჩენილობისათვის განწირული ტერიტორიები ეკონომიკურად აყვავებულ რაიონებად გადააქციეს. საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ეკონომიკური, ტექნიკური და მეცნიერული პოტენციალი, რომლის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება, განუზომელ ღირებულებას წარმოადგენს. ამიტომ სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა შორის ურთიერთდახმარების განვითარების არინციბის დამკვიდრებას არ შეიძლება არ მივესალმოთ როგორც უდიდეს წვლილს — კაცობრობის მშვიდობისა და ეკონომიკური პროგრესის საქმეში.

ეს ურთიერთობა ფართო პერსპექტივებს უსახავს და პროგრესისადმი მისწრაფებას განმტკიცებს ხალხებს, ცვლილებებსა და სამართლიანობას რომ აღწევენ გზებსა, რომელებსაც მათ სხვადასხვა ისტორიული პირობებმა საკუთარი გაუჟანეს.

ორმხრივი ურთიერთობის კონკრეტული ასპექტები ჩვენი თანამშრომლობის ქმედითს ხასიათს გამოხატავს. კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში ეს თანამშრომლობა ვითარდება ფართო პერსპექტივები აქვს. ამასთანავე ჩვენ გულწრფელად ვალიარებთ, რომ არ არსებობს საბაჭრო და ეკონომიკური გაცვლა, თუნდაც ამის შესაძლებლობანი არის, და განვაცხადეთ, რომ გადაწყვეტილი გვაქვს ბოლო მოვუღოთ ინერტულობას და მივანიჭოთ მას სასურველი დინამიკა და სიფაართოვე.

ჩვენი შეხვედრის დიდმნიშვნელოვანი მიზანი ის გახლავთ, რომ ერთმანეთს ვაცნობოთ, თუ როგორ ვაღიარებთ საერთაშორისო ვითარებას უმთავრესად იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ურთიერთგაგება და გაუძლიერთ მოქმედების კოორდინაცია ამ მიზნების მიღწევაში, რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ. დიალოგი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ და დავამკვიდროთ ის საერთო რამ, რაც გვაქვს. ამას ადასტურებს ჩვენი მოლაპარაკება.

გამართული შეხვედრებით დიდად კმაყოფილი ვართ. ხვალ მოსკოვში, შემდეგ კი სხვა ქალაქებშიც ჩვენ განვაგრძობთ ამ შეხვედრებს თქვენს ხელმძღვანელებთან, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებთან და საეკიალისტებთან, და დარწმუნებული ვართ, რომ ამ ვიზიტის დამთავრების შემდეგ შეეძლებთ მტკიცე რწმენით განვაცხადოთ, რომ საუკეთესო შესაძლებლობანი გვაქვს, რათა ახალი ნაბიჯები გადადგათ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მტკიცე მეგობრობის გზაზე.

ბატონო თავმჯდომარე ლეონიდ ბრეჟნევ!

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეგრძელი და ბედნიერი იყავით, მექსიკის სახელით ვფუსურავებ დიდ საბჭოთა ხალხს წარმატებთა განაგრძოს აღტაცების ღირსი პროგრესის გზა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ხ. ლ. პორტილიოს სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საღილმა მეკობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკვლევი).

ბელოვნებისა და მეგობრობის დღესასწაული

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცელია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის დღეები სსრ კავშირში. ისმინეთ ულოლიავან ბულგარეთის განთავისუფლების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს ხელოვნებისა და ხმების დღესასწაული მოეწყობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

დღეები საზეიმოდ გაიხსნა 16 მაისს მოსკოვში, სსრ კავშირის ხალხელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. აქ შეიკრიბნენ დიდებულნი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები. ისინი გულთბილად მიესალმნენ ბულგარეთის დელეგაციის წევრებს და მის მეთაურს — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს დ. სტანიშევს, ცნობილ ბულგარელ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, კინემატოგრაფისტებს, დღეების ჯახნას დაესწრნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ვ. ზიმიანინი.

დღეების მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილემ ნ. ი. მოხოვმა, რომელიც ჯახსნაზე გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ გულწრფელმა ძმურმა მეგობრობამ სამუდამოდ დაა კავშირა ჩვენი ხალხები, საბჭოთა ადამიანები იცნობენ და უყვართ ბულგარეთის ხელოვნება და კულტურა, რომლის ოსტატები აქტიურად მონაწილეობენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საპასუხო სიტყვაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ფოლმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს ბულოთადობისა და სტუმართმოყვარეობისათვის.

შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკვლევი).

საერთაშორისო ცხოვრება

ერთიანული ბიულეტენი

ქლავლიო ღღეს ✠ ქლავლიო ღღეს ✠ ქლავლიო ღღეს

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიაზე

ომის გამო, რომ 23 მაისს იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელიც განიარაღების საკითხებს ეძღვნება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა უკრაინის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. გ. შეველის მეთაურობით.

ბელორუსის სსრ მინისტრთა საბჭომ დამტკიცა ბელორუსის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით.

მეგობრული შეხვედრა

ჟენევა, 16 მაისი. (საკვლევი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვ. კატერინოვი მეთაუროობს, დღეს შეხვდა შვეიცარიის შრომის პარტიის გენერალურ მდივანს ა. მანიეს, შვეიცარიის შრომის პარტიის საპატიო თავმჯდომარეს, პოლიტბიუროსა და სამდივნოს წევრს ჰ. ჰოფერს, შვეიცარიის შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრს ი. ლეზლიტერს.

გაიმართა ამხანაგური აზრთა გაზიარება ორი პარტიის ურთიერთობის საკითხებზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და შვეიცარიის შრომის პარტიისათვის საინტერესო სხვა აქტუალურ პრობლემებზე, შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

გულთბილ ვითარებაში

ბუდაპეშტი, 16 მაისი. (საკვლეი). გულთბილად და გულითადად ხვდებიან, უნგრეთის მშრომელნი, უნგრეთის ხახალხო არმიის მეომრები საბჭოთა ხამხედრო დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშალის დ. ფ. უსტინოვის მეთაურობით, რომელიც აქ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ამყოფება.

მოკლედ

ყოველ ერს ესრიდენ

სსრ კავშირის შეკავეთით

● **ლისაბონი,** აქ წყალი ჩაუშვეს გემები „ლენინსკი კომსომოლი“ და „დრუჟბა ნაროდოვ“, რომლებიც პორტუგალიის გემთსაძენებში ააგეს საბჭოთა კავშირის შეკვეთთ. ისინი ეკუთვნიან „მედიაარე-ზღვის“ ტიპის ამ ოთხი თბომავლის სერიაში, რომლებიც საბჭოთა გაერთიანება „სუდოიმპორტმა“ შეუკვეთა.

დაკანონებული ჯაშუშობა

● **ვაშინგტონი,** ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა კვლავ ლახვარი ჩასცეს მოკალაქეთა დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამერიკის შეერთებულ შტატების უზენაესმა სასამართლომ ამის დიდი უმრავლესობით მოიწონა კანონი, რომელიც ამ ვიზიტის დამთავრების შემდეგ შეეძლებთ მტკიცე რწმენით განვაცხადოთ, რომ საუკეთესო შესაძლებლობანი გვაქვს, რათა ახალი ნაბიჯები გადადგათ ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული მტკიცე მეგობრობის გზაზე.

ბატონო თავმჯდომარე ლეონიდ ბრეჟნევ!

ქალბატონებო და ბატონებო!

დღეგრძელი და ბედნიერი იყავით, მექსიკის სახელით ვფუსურავებ დიდ საბჭოთა ხალხს წარმატებთა განაგრძოს აღტაცების ღირსი პროგრესის გზა.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ხ. ლ. პორტილიოს სიტყვები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

საღილმა მეკობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკვლეი).

სესია დამასკოში გაიმართება

● **დამასკო,** პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს სესიის მთავარი თემა იქნება ეგვიპტის პრეზიდენტ სადათის კამპიტულანტური მოქმედებისა და ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად ახლო აღმოსავლეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები. სესია სირიის დედაქალაქში 20 მაისს გაიხსნება.

დააპატიმრეს პატრიოტები

● **ბუენოს-აირესი.** სანტიაგოდან მიღებული ცნობებით, ჩილეს ქალაქ იკიკში დააპატიმრეს და სამხატოო ხაზებში ჩასვეს ოთხი ჩილელი პატრიოტი. მათ აბრალებენ ფაშიზტური ხუნტის მიერ აკრძალული ჩილეს კომუნისტური პარტიის წევრობას.

ევროპანეთი — მშვიდობისა და თანამშრომლობის გზით

თეირანი, 16 მაისი. (საკვლეი). ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აპირებს განახორციელოს მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა ყველა მეზობელ ქვეყანასთან. განაცხადა ირანის გაზეთ „ეთელაათის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ავღანეთის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ნურ მუჰამედ თარაკიმ. ავღანეთის საგარეო პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა მან, ემყარება პოზიტიური და აქტიური მიუმხრობლობის პრინციპებს. იგი შეესაბამება მშვიდობის ინტერესებს. ჩვენი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ისინი ჩვენს რევოლუციას, აგრეთვე მათს სურვილზე დაგვეხმარონ ჩვენი ეროვნული მიზნების განხორციელებაში. „ავღანეთს ახალი მთავრობა, თქვა შემდეგ თარაკიმ, მხარს უჭერს ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების განთავისუფლებას, აგრეთვე პალესტინელი ხალხისათვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. ავღანეთი, ხაზგასმით აღნიშნა მან, მხარს უჭერს აფრიკელ ხალხთა ბრძოლას პარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის სხვა ფორმების წინააღმდეგ.

შეეხო რა ავღანეთის აპრილის რევოლუციას, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო თავმჯდომარემ თქვა: ჩვენ, ავღანეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, ვემზადებოდით რევოლუციისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 1965 წლის იანვარში ჩვენი პარტიის შექმნის პირველი დღიდანვე. ყოფილი პრეზიდენტი დაუდი, რომელიც 1973 წელს ჩაანაცვლა ეროვნული ერთიანობა

სოციალიზმის ქვეყნებში



უკანასკნელ წლებში სწრაფი ტემპით ვითარდება ბულგარეთის სატრიკოტაჟო მრეწველობა: წარმოებაში ინერგება ახალი მაღალმწარმოებლური ტექნიკა და ეფექტიანი ტექნოლოგია. საშინაო და საგარეო ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ფართოვდება ახორტამენტი. ქვეყნის სატრიკოტაჟო მრეწველობა მონაწილეობს სსრ კავშირის და ეკონომიკური ურთიერთდახმარების ხაბჭოს წევრი ქვეყნების სატრიკოტაჟო საწარმოების ინტეგრაციაში.

სურათზე: ნედკა ხიბევა და ანტუანეტა ტონჩევა დიმიტროვგრადის „გერმანიის“ ფაბრიკის ბუკეთესო მუშები არიან.

სოფია პრესის ხაბინეტის ფოტო.

ევროპანეთი — არგენტინის შედეგები

რომი, 16 მაისი. (საკვლეი). აქ გამოაცხადეს 14-15 მაისს იტალიაში გამართული ნაწილობრივი ადმინისტრაციული არჩევნების საბოლოო შედეგები. არჩევნებში მონაწილეობდა დაახლოებით 4 მილიონი ამომრჩეველი. წინ წაიწია იტალიის კომუნისტურმა პარტიამ. იტალიის კომუნისტური პარტიის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 26,5 პროცენტმა — 0,7 პროცენტით მეტმა, ვიდრე წინა არჩევნებში. მთლიანად პოზიციები შეინარჩუნა სოციალისტურმა პარტიამ — ხმების 13,3 პროცენტი.

მეტი ხმის მოგროვება შეძლეს მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა. ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 42,5 პროცენტმა — 5 პროცენტით მეტმა, ვიდრე წინა არჩევნებში. მორიგი დიდი დამარცხება განიცადეს ნეოფაშისტებმა და მემარჯვენე ლიბერალურმა პარტიამ.

რეზოლუცია უარყვეს

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის ინტერესების საყოველთაოდ

ვაშინგტონი, 16 მაისი. (საკვლეი) ამერიკის შეერთებული შტატების ხენატმა ცხარე კამათის შემდეგ ხმის უმრავლესობით (54 ხმა 43-ის წინააღმდეგ) უარყო რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს მთავრობას ხელი მიეღოს ახლო აღმოსავლეთის სამი ქვეყნისათვის — ისრაელის, საუდის არაბეთისა და ეგვიპტისათვის თვითმფრინავთა მიყიდვის გეგმაზე.

ადმინისტრაციის მიერ კონგრესში წარდგენილი გეგმით ისრაელი მიიღებს 15 „ფ-15“ თვითმფრინავს და 75 „ფ“-16“ თვითმფრინავს, საუდის არაბეთი 15 „ფ-15“ თვითმფრინავს და ეგვიპტე — 50 მეორეხარისხოვან „ფ-5“ ავიაგამანადგურელს. გარდა ამისა, ადმინისტრაცია ისრაელს შეპპირდა, რომ ოთხლოვს წლებში მიაწვდის კიდევ 20 „ფ-15“ თვითმფრინავს.

თვითმფრინავების გაყიდვის საკითხის განხილვამ კონგრესში ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განხორციელებული აქვს ქვლავაც განახორციელოს ახლო აღმოსავლეთში მისთვის სასურველი რეჟიმების ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერის, ისრაელი აგრესორებისადმი სამხედრო დახმარების აქტივიზაციის, ამ რეგიონის ქვეყნებისათვის იარაღისა და საჭირბოროტოს მიწოდების ჯორსი, რომლებიც თამაშობენ არაბულ სახელმწიფოთა ფრონტს, ხელს უწყობენ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობას. როგორც ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ადმინისტრაციის დაჟინებითი ცდა მიღებინოს კონგრესს გარიგება თვითმფრინავების გაყიდვის შესახებ მოწმობს, რომ შეერთებული შტატები ვაშინგტონ-ტელ-ავივის ღერძის გარდა ახლა ქმნის ვაშინგტონ-კაირო-ერ-რიადის პარალელურ ღერძს. პროგრესული საზოგადოებრივი, და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ე. ეგოროვი.

ვითარება ზაირში

პარიზი, 16 მაისი. (საკვლეი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ზაირის პროვინციაში (ყოფილი კატანგა) გრძელდება ბრძოლები ორგანიზაცია კონგოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებსა და მთავრობის ჯარებს შორის. განსაკუთრებით გაფფორებული სომარი მოქმედება მიმდინარეობს ქალაქების კოლეგიისა და შუჩჩის რაიონში. ბელგიის

ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირფესვიანად შეიცვალა აჭარის სოფლების ცხოვრება. მიმოფანტული პატარ-პატარა დაბები დიდ დასახლებულ პუნქტებად იქცა, რომელთა ცხოვრება ბევრად არ განსხვავდება ქალაქად ცხოვრების პირობებისაგან. ქობულეთის რაიონში შეიქმნა ერთ-ერთი დიდი სოფელი — ბობოყვათი — მილიონერი კოლმეურნეობის ცენტრი.

ბობოყვათი თანამედროვე კეთილმოწყობილი სოფელია. მას აქვს დიდი კულტურის სახლი, სურათების გალერეა, სადაც წარმოდგენილია აჭარისა და საქართველოს მხატვართა ხაუკეთესო ნაწარმოებები. სახლის სცენაზე ხშირად გამოდიან პროფესიული მსახიობები, უჩვენებენ ახალ კინოფილმებს.

სოფლის საავადმყოფო აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით. სოფლის ცენტრში დგას უნივერსალური და ავიკის მაღაზიები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. სოფლად არიან ახალი სპეციალობის ადამიანები, რომლებზეც აქ ადრე არც კი სმენიათ: არკიტექტორი, მშენებელი ინჟინერი, ექიმი კარდიოლოგი, რენტგენოლოგი, მუსიკალური სკოლის მასწავლებელი, სოფლის მეურნეობის ეკონომისტი. სოფლის ასზე მეტი მცხოვრები დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სახლებელში.

სურათებზე: კულტურის სასახლე ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში; სოფლის მუდმივმოქმედი სურათების გალერეა; ბობოყვათის უნივერმაღაზია.

ნ. ანასტასიმეშის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სანიმუშო წესრიგი საავტომობილო გზებზე!

საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ბრძოლა — საერთო საყოველთაო საქმე

დღეს ჩვენში იშვიათია ადამიანი, რომელსაც არ ინტერესებდეს ავტომობილიზაციასთან დაკავშირებული საკითხები: ახალი მარკის და მოდელის ავტომობილების წარმოება, გზებისა და გზაგამტარების მშენებლობა, სიახლე მოძრაობის სრულყოფისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას. ფაქტია, რომ ყველაზე მეტი უბედურების მოტანი საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებია, რომლებსაც ყოველწლიურად ათასი ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მილიონობით ადამიანს ახეიბრებს და თან სდევს უდიდესი მატერიალური ზარალი. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ავტოავარიების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად 300 ათასამდე ადამიანი იღუპება და 8 მილიონზე მეტი ხეიბრდება.

მიუხედავად უკანასკნელ წლებში გატარებული მთელი რიგი ღონისძიებებისა, ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია საგზაო შემთხვევათა რიცხვი. მართალია, გასული წლების მონაცემებთან შედარებით უკეთესობის, საგზაო შემთხვევების შემცირების ტენდენცია შეინიშნება, მაგრამ გასული წლისა და წლევანდელი პირველი კვარტალის მონაცემები თვითდამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. 2901 საგზაო შემთხვევა, 925 გარდაცვლილი, 3421 დაშავებული ადამიანი — ეს როგორ დამთავრდა 1977 წელი, ხოლო მიმდინარე წლის სამ თვეში 623 ავტოავარიამ 176 ადამიანი იმსხვერპლა, 693 კი დაშავა. 15 თვეში დაღუპული ათასზე მეტი ადამიანი განა გვაძლევს უფლებას რაიმე წარმატებებზე ვილაპარაკოთ? პირიქით, წელს პირველ კვარტალში ჩვენი რესპუბლიკის 29 ქალაქსა და რაიონში საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა მატება აღინიშნება. ეს გამოიწვია საზოგადოებრივი აქტივის, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა, ავტომონსპექციის თანამშრომელთა მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებამ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისადმი მტკიცე სახელმწიფო კონტროლის დაწესებას, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოებისა, ავტომეურნეობების, უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ზოგჯერ სრულ უყურადღებობასაც კი იჩენენ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის დადგენილების შესაბამისად, შარშან სახელმწიფო ავტომობილინსპექციამ 9-ჯერ ჩაატარა რეიდი, რის შედეგადაც 3475 სახელმწიფო ავტომობილი გამოვლინდა, რომლებიც დამის საათებში მძღოლებს თავის სახლებთან ეყენნათ. ავტომობილთა უმრავლესობა ეკუთვნოდა სოფლის მეურნეობის, საავტომობილო ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სასოფლო მშენებლობის და მშენებლობის სამინისტროების, „სოფლოფლტექნიკის“ და ავიაციის უწყებებს.

შარშან სახელმწიფო ავტომობილინსპექციის მუშაკებმა 5461 მძღოლი გამოავლინეს, რომლებიც ავტომანქანებს პირადი გამორჩენის მიზნით აყენებდნენ. მძღოლთა უმრავლესობა ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილ სამინისტროებსა და უწყებებში მუშაობს. ეს ციფრი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რომ ჩვენს ზოგიერთ გათანამშრომელს ლმობიერება არ გამოეჩინა.

ხაგზაო ზედამხედველობის ზოგიერთი ინსპექტორის მხრივ ჯერ კიდევ არის წვრილმანი გამოძალვის. მძღოლებთან უსაფუძვლო შედავების, უკულტურობისა და დისციპლინის დარღვევის ფაქტები. ზშირია, როცა საგზაო ზედამხედველობის ინსპექტორი თავის უბანს არ შემოივლის და არ ეწევა პატრულირებას. ასეთი თანამშრომლები სანელს უტახენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს და ამჟამად მათგან ჩვენი რიგების გაწმენდის გადამწყვეტი ღონისძიებები ხორციელდება. შარშან სახელმწიფო ინსპექციის 69 თანამშრომელი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შეუფერებლობისა და ნდობის დაკარგვისათვის, მათ შორის 41 თანამშრომელმა დატოვა შინაგან საქმეთა ორგანოები.

სახელმწიფო ავტოინსპექციის რიგებში ბევრია თავდადებული, ერთგული, პატიოსანი და მუყაითი თანამშრომელი, რომლებიც მეტად ძნელსა და საპატიო საქმეს ასრულებენ, ფხიზლად დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. სწორედ თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკების სიფხიზლისა და ოპერატიული საზრიანობის შედეგად იქნა ნაკავებული ამას წინათ მონაწილობრივ ფარული სპეკულაცია და არცთუ ცოტა ეზეიათ შემთხვევები, თაღლითობა. მარტო შარშან და წელს პირველ კვარტალში განთხოვრებული ავტომობილებით მოხდა 320 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რამაც 111 ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 404 მძიმედ დაშავდა.

მინდობილობათა მიღმა ხშირად საქმოსანთა მაქინაციებიც იმალება, გაასხვისონ და თავად მოიხმარონ უკანონო გზით შეძენილი ავტომობილი, რომ მათი არაშრომითი შემოსავალი შინაგან საქმეთა ორგანოების დაინტერესების საგანი არ გახდეს, ან „ჩავარდნის“ შემთხვევაში არ იქცეს, სამხილად და საკონფისკაციოდ. სწორედ ავტომობილის იურიდიული მფლობელები, ვის მანქანებსაც წერილი თუ მსხვილი საქმოსნები დაიჭიროლებენ, საფრად უდგანან მათ და ნებსით თუ უნებლიედ მათი ხელშეწყობის და მფარველის როლში გამოდიან.

ამ ამბით უნდა დაინტერესდნენ იმ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, რომლებმაც თანამშრომლებს შესაძენად ავტომობილები გამოუყვეს, ვინ მართავს, როგორ იყენებენ მას...

ავტომანქანის მძღოლთა გარკვეული ნაწილი ავტომანქანებს ზაზილ-პიპილიათ და უკან საშზერ მინაზე ჩამოფარებული ფარიდით რთავენ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ავტომობილებს უკან საშზერ მინაზე ფარიდის ჩამოფარება ავარიის საეროოზულ საფრთხეს ქმნის.

ჩვენს რესპუბლიკაში და მის დედაქალაქ თბილისში საკუთარი ავტომობილების სიმრავლე ხალხთა კეთილდღეობის დონის ამაღლების მაუწყებელია, მაგრამ დილის 8 საათიდან გვიან ღამემდე გამუდმებული პიკის საათი, რომელსაც ავტომობილების ეკრიმ მფლობელები ქმნიან თბილისში, ეჭვს იწვევს, ფორმალურად ხომ არ არიან ისინი სამსახურებში გაფორმებულნი, მარტო ტაბელის გადასაბრუნებლად ხომ არ ცხადდებიან დაწესებულებაში?

ვის არ უნახავს სამუშაო საათებში ბენზინის სადგურებთან საკუთარი ავტომობილების გაუთავებელი რიგი. დგანან აუჩქარებლად, უდარდელად. სად მუშაობენ ეს მოქალაქენი? ამჟამად სამინისტრო ამ საკითხს სერიოზულად სწავლობს და სათანადო წინადადებით წარსდგება ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში.

ზშირად მძღოლები გულისტკივილსა და საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ გზებისა და ქუჩების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. მართალია, ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება, მაგრამ სასურველ მიზანს ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, ავტომობილიზაციის ტემპი მკვეთრად უსწრებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შეკეთების ტემპს. ამიტომ მძღოლთა და ავტომოყვარულთა ეს გულისტკივილი საკმაოდ გასაგებია, რადგან ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომელიც დიდ კაპიტალურ დაბანდებას არ მოითხოვს, დიდ ზეგავლენას მოახდენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებაზე და საგრძნობლად გაუმჯობესებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ჩვენი რესპუბლიკის საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე მდებარე დასახლებულ პუნქტებში 1975 წლამდე უნდა დამთავრებულიყო ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილი ბილიკების და ტროტუარების მშენებლობა, მაგრამ სადღისოდაც კი არ არის დამთავრებული ეს მშენებლობანი.

ცუდად მიმდინარეობს მკვეთრი მოსახვევების დროული გასწორება. საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო კანტორის მიერ არაკვალიფიცირად იქნა შედგენილი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის შესასვლელი გზის პროექტი, რომელიც სახელმწიფო ავტოინსპექციასთან შეუთანხმებლად განხორციელდა. აღნიშნული მონაკვეთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა კერად იქცა, რის გამოც საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გახორციელება.

მოუგვარებელია გზების ხელოვნური განათება. თბილისი-რუსთავის, თბილისი-ნატახტრის - გზის მონაკვეთები მთლიანად უნდა იყოს განთებული, გაზრდილ სატრანსპორტო ნაკადებს ვერ ატარებენ მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ხიდები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხიდი მდინარე ლოჯანზე, სართიჭალაში მდინარე იორზე, სოფელ სუფსაში მდინარე სუფსაზე, მდინარე მტკვარზე ბორჯომ-ბაკურიანის გზის დასაწყისში და ბევრი სხვა. ასევე ქმედითი ღონისძიებების განხორციელება მართებთ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განათების. საგზაო ნიშნებით და მაჩვენებლებით გზების აღჭურვისა და მოწესრიგების კომუნიკაციების ჭების სახურავების წესრიგში მოყვანისათვის.

გზებზე სანმეშო სახელმწიფოფერეიტი წესრიგის დაფარების განაპირობებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას.

შ. გორგოძე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე დაასახელეს ცნობილი სპორტული მოღვაწენი და სპორტსმენები, რომლებიც დაჯილდოვდნენ ოლიმპიური ორდენით — ოლიმპიურ მოძრაობაში დიდი დამსახურებისათვის. დაჯილდოებულთა შორის არის გამოჩენილი ტანმოვარჯიშე ლუდმილა ტურიშჩევა-ბორზოვა. როგორც ცნობილია, ადრე ოლიმპიური ორდენით დაჯილდოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ზ. მირონოვა.

1978 წლის „ოლიმპიური თასი“ გადაეცემა სახერძნეთის ოლიმპიურ კომიტეტს.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

თბილისში დამთავრდა ქალაქის პირადაგუნდური პირველობა მშთ მრავალჯერადში სპორტულ საზოგადოებათა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „ᲛᲠᲐᲛᲘᲗᲘ რეზერვების“, „კოლმეურნის“, „სპარტაკის“ და „ლოკომოტივის“ 130-დან სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში ამ სპორტულ საზოგადოებათა კოლექტივები საბურნინო ცხრილში ასეთივე თანამიმდევრობით განლაგდნენ.

ქალთა შორის მშთ სხვადასხვა საფეხურის მრავალჯერადში ქალაქის ჩემპიონები გახდნენ: „განთიადის“ წარმომადგენლები დები ქლავდია და კლარა გუმბები, „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ე. შუმილინა, „შრომითი რეზერვების“ — თ. როემანოვა. ვაჟთა შორის გაიმარჯვეს „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა გ. ჯარაშვილმა, „დინამოსი“ — ა. ფალე